# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 346. ხუთშაბათი, 8 სექტემბერი 1905 წ. გაზეთის № 2904.

# პატარა მოხელეები

ვ. დოროშევიჩისა.

მე ვიღებ კალამს იმიტომ, რომ დავიცვა თანამედროვე საშუალო სასწავლებელი. ხელი არ ახლოთ გიმნაზიურ რვა წლიან ჯოჯოხეთს.

— მე ყოველივე ნაცნობობა მოვსპე კარლოსსთან. კარლოსი საზიზღარი და ზარმაცია: იმან არ იცის სიტყვის „domus“-ის კანკლედობა.

ასე მსჯელობდა ორი პატარა მოსწავლე, როცა სკოლიდან სახლში ბრუნდებოდა.



პორტრეტი — სურ. ნორმანისა.

— სკვარცოვმა ევდოკიმე-მოზეპირემ, იცის სიტყვის „domus“-ის კანკლედობა.

მოზეპირეებს სცემენ და ურტყამენ, ნამდვილი გმირები-კი უკანასკნელ სკამებზედ სხედან.

მრავალი წლის განმავლობაში ის აზრი დამკვიდრდა მოსწავლეთა შორის, რომ ნამდვილი საზიზღარი ქმნილება ის არის, ვინც მუდამ გაკვეთილებს ამზადებსო. იმას ისევე უცქერიან, როგორც იმ დეპარტამენტის მოხელეს, რომელიც უფროსთა სასიამოვნოდ სახლში წაიღებს ხოლმე სამუშაოს და დღე-ღამეს ასწორებს უფროსთა ბრძანების ასასრულებლად.

— სამსახურში დაწინაურება უნდა მეტიჩარას, გაიძახიან ხოლმე ამხანაგები.

პირველი მოსწავლე მოღალატეა მთელის კლასისა. უსაზიზღრესი მოღალატეა. ის იმისთვის იზეპირებს დაჟინებით ყოველსავე გაკვეთილს, რომ ამხანაგებს მასწავლებელმა უკიჟინოს:

„თქვენ ვერ მოამზადევით გაკვეთილი? სკვარცოვმა როგორ შეიძლო და მოამზადა?!“

პირველი მოსწავლე — პირველია მარტო იმიტომ კი არა, რომ კარგს ნიშნებს იღებს, არამედ იმიტომაც, რომ ყველაზედ მეტს მას სცემენ ამხანაგები.

სამაგიეროდ ის მოსწავლე, რომელიც მუდამ სხვისაგან გადიწერს „extemporalia“-ს, გაკვეთილებს მარტო კლასში სწავლობს დასვენების დროს, პასუხის მიგება სხვის უჩურჩულოდ არ შეუძლიან და წიგნებიც კი არ დააქვს სახლში, — საკვირველს და წასაბაძავს მაგალითს წარმოადგენს მთელის კლასისთვის.

ჩვენ საშუალო სასწავლებელი არა გვაქვს, ჩვენა გვაქვს კანცელიარია, სადაც პატარა მოხელეები ეწევიან სრულ რვა წელიწადს ბნელს, სულის შემხუთავს, მოსაწყენს სამსახურს. არავინ არ იარება სწავლისათვის, ყველა რაღაც მოვალეობის მოსახდელად დადის:

— იმისთვის, რომ საჭიროება მოითხოვს.

იმსახურებ რვა წელიწადს გიმნაზიაში და სტუდენტობას მიიღებ, სწორედ ისევე, როგორც მამამ ათი წელიწადი იმსახურა კოლეჟსკი სეკრეტრად და ნადვორნი სოვეტნიკობა მიიღო.

წყნარია ზამთრის სუსხიანი დილა სატახტო ქალაქისა... ქუჩაზედ ნელა მიგოგავს პატარა ბაღლინჯო გიმნაზიელი. აბგა ზურგზედ წამოუკიდნია, ბევრი ფიქრი უტრიალებს თავში.

გეოგრაფიას დღეს არა ჰკითხავენ: წარსულს გაკვეთილ-ზედ გაიხმო მასწავლებელმა. ანგარიშს დასვენების დროს დაისწავლის. ლათინური... სემენოვს კარგებს მოსცხებს, რომ „extemporalia“ გადააწერინოს! გერმანული დიდი რამ შვილი არა ბძანდება, თუ გაუჭირდა რამ, კარლუშკა მარჯვედ უჩურჩულებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ნორვეგია.** — პროცესია ნორვეგიის განთავისუფლების შესახებ. ქანდაკებას აწერია „დიახ! ჩვენ გვიყვარს ჩვენი სამშობლო“.



მზის დაბნელების გადასაღებად დადგმული ტელესკოპი — ფოტოგრაფიული აპარატი.



მზის დაბნელება. გადაღებული ტელესკოპ-ფოტოგრაფიულ აპარატით

ამავ დროს მამა ამ პატარა ბალღინჯოსი, თბილს ზამთრის ქურქში გამოწყობილი, სამსახურში მიდის და მსჯელობს:

— მოხსენებისათვის დღეს არ წავალ, მოხსენებები მხოლოდ ხუთშაბათობით არის. მაშასადამე, ამ ქაღალდებს ჯერჯერობით გვერდზედ გადავდებ. პასუხი საქმისა №00 უნდა მოვამზადო, მაგრამ ივანოვი მას მიკეთებს, ერთს კარგად შევუფუცხუნებ და ვუბრძანებ: „რა ტყუილადა გდიხარ და არაფერს აკეთებ, დაჯექი და აი ამ ქაღალდის პასუხი დასწერე!“ საქმეს №00... სხვა უწყებაში გავაგზავნი. მორჩა და გათავდა.

გულზედ ხელი დავიდოთ და სამართლიანადა ვსთქვად, დიდი განსხვავებაა შვილსა და მამაში? დეპარტამენტსა და გიმნაზიის შორის? მეცნიერების შეძენასთან და კანცელარიაში სამსახურთან?

და ან საიდან უნდა ჰქონდეს სხვანაირი დამოკიდებულობა მეცნიერებასთან ამ ბალღინჯოს?

— ვისთვის რა ბედენაა იმისი ცოდნა, რომ ზმნა „კერანუმი“ იხმარებოდა ძველს საბერძნეთში 1000 წლის წინად ქრისტეს დაბადებამდის წყალნარევ ღვინის აღსანიშნავად! ან კიდევ როცა ბერძნები ფქვილში სილას ურევდნენ, ამის აღსანიშნავად კიდევ სხვა ზმნასა ხმარობდნენ. ვისთვის რა საჭიროა ამისი ცოდნა, როდესაც თვით ბერძნებმა დიდი ხანია სული განუტევეს, ის წყალნარევი ღვინოც აღარ მოიპოვება, რისთვის არის საჭირო? ვერც ერთი ადამიანი მთელს დედამიწაზედ ამის პასუხს ვერ მისცემს ცნობის მოყვარე ბავშვს.

დედა...

მე ვიცნობ დიდ წარჩინებულ ოჯახს, იმისთანა ოჯახს, სადაც ბავშვისთვის არაფერი დაფარული არა აქვთ. ასეთ ოჯახში ხშირად ბავშვებს მოურიდებლად დიდი პედაგოგიური სჯა-ბაასი აქვთ ხოლმე. ამისთანა ოჯახში ცნობის მოყვარე ბავშვი ეკითხება მამას:

— მამილო, მითხარი შენი ჭირიმე, რისთვის არის გამოსადეგი იმის ცოდნა, თუ ზმნა „კერანუმსი“ ბერძნები ხმარობდნენ წყალგარეულ ღვინის აღსანიშნავად.

მამამ დიდი და სერიოზული გამომეტყველება მიიღო.

— როგორ არა, შვილო, ეგ ძალიან საჭიროა... საჭიროა მაგისი ცოდნა ჯერ ერთი იმიტომ... ჰმ... იმიტომ რომ... უკეთესია წახვიდე და გაკვეთილების მზადებას შეუდგე, დროა!

ასეთის პასუხისგან გონება გამჭრიახი ბავშვი შემდეგ დასკვნას გამოიყვანს:

— რა უტვინოა მამაჩემი! ამბობს, რომ ძალიან საჭიროა და კი არ იცის რისთვის არის საჭირო!

ბავშვის გასვლის შემდეგ დედა უსაყვედურებს ქმარს:

— რისთვის გააგდე ბავშვი? რატომ არ აუხსენი რასაც გთხოვდა?

მამა ხელების შლით უპასუხებს.

— ღმერთმა უწყის, რისთვის არის საჭირო ეგ რაღაც ჯანაბა ბერძნულია! მაგრამ რას იზამ! ხომ ვერ ეტყვი ბავშვს, სრულიად უსარგებლო რამ საგანიაო! ოჯახმა მუდამ მხარი უნდა დაუჭიროს სკოლას!

ასეა წარჩინებულ მდიდარ ოჯახებში, რომელნიც პრინციპებს მისდევენ, მაგრამ შუათანა შეძლების ოჯახებში სხვა სურათსა ვხედავთ.

გულუბრყვილო, მოსიყვარულე დედა, უცქერის რა ფერმკრთალს, მიკნავებულს შვილს, ხშირად ასე წუწუნობს:

— ლათინური კიდევ ჰო-ჰო, რეცეპტებს მაინცა სწერენ მაგ ენაზედ, მაგრამ, ერთიმიბრძანეთ, რა ჯანაბ-დოზანისათვის არის საჭირო ბერძნული ენა?

მამა...

მამას კიდევ ანგარიში ვერ მიუცია თავისს თავისათვის, თუ რად ახსოვს ასე ნათლად მთელს სიცოცხლეში:

„დარეიუ კაი პარისატიდოს გიგნონტაი პაიდოს...“

ბევრი, ძალიან ბევრი საჭირო და ცხოვრებაში გამოსადეგი დაავიწყდა, მაგრამ „დარეიუ პარისატიდოს“ კი მტკიცედ ახსოვს და ეხსომება საფლავის კარამდის. ერთხელვე დაიბუდეს ამ ფუჭმა და გამოუსადეგარმა მდგმურებმა იმის თავში და აღარა სცილდებიან. რის მაქნისები არიან ეს მდგმურები? რა სარგებლობა მოუტანა ცხოვრებაში ამ ბერძნულ სიტყვების ზეპირებამ?

რისთვის ახსოვს იგი, რისათვის დაასწავლეს?

რა უნდა უთხრას, შვილმა რომ ჰკითხოს, როდესაც მასთანაც მივა ჯერი „დარეიუ პარისატიდოს“ გაზეპირებისა.

— მამილო, რისთვის არის საჭირო?

რა უნდა უთხრას გარდა ამისა:

— მთავრობას ასე სურს!

სვინიდისის ქვეშ რომა ვსთქვათ, ან რას მივუგებდით, ჩვენთვისაც რომ მოეცათ ასეთი კითხვა:

— რისთვის გვასწავლეს და რისთვის გვახსოვს მთელს ჩვენს სიცოცხლეში ismocalıni generis“-სი?

მე მახსოვს ერთი შემთხვევა, როდესაც სარგებლობა მოგვიტანა ლათინურის ცოდნამ. ეს იყო 4 დეკემბერს ერთს პატარა ქალაქში. ამ დღეს ბარბარეების სახელწოდების დღესასწაული არის ხოლმე. ქალაქში იმდენი ბარბარე აღმოჩნდა, რომ ყველა მესაკრავე დაეტაცნათ სტუმრების გასართობად. დავრჩით უსაკრავოდ. უბრალო მეგარმონეც კი ვერ ვიშოვეთ. ცეკვა კი უსათუოდ უნდა მოგვეწყო. ბევრი ვიფიქრეთ,



თოთხმეტი წლის ქალი **ბალე**, უხელოდ დაბადებული, ფეხებს ხმარობს ხელებსავით. მშვენივრად და მარდად ჰხატავს, ჰქსოვს, ჰკერავს; თმასაც იკრეჭავს მაკრატლით. ხატვის ნიჭი აქვს.

ვიღლეთ-დავიღლეთ და ბოლოს შემდეგ ხერხს მივმართეთ. სტუმრები ყველანი კლასიკები იყვნენ და, რადგან დარწმუნებული ვიყავით, რომ გიმნაზიაში ყველას თავი ჰქონდა გამოლაყებული არასრულ ზმნების გაზეპირებით და ეჭვიც არა გვქონდა, რომ ვისმეს დავიწყებოდა იგი, შევუდექით მათ სიმღერას კადრილის კილოზედ:

„omnis, orbis, glis, annalis
„foscis, ensis, cucumis.“

აი ასეთი სარგებლობა მოგვიტანა ლათინურის ცოდნამ, მაგრამ განა შესაძლებელია ამისთანა შემთხვევისათვის მთელი რვა წლის განმავლობაში ლათინურ გრამატიკით თავის მტვრევა!

და აი, ბავშვის უმწიკვლო, სპეტაკი გონება ადვილადა ჰხვდება, რომ სცრუობენ, როდესაც ეუბნებიან:

— ძალიან საჭიროა და გამოსადეგი იმისი ცოდნა, თუ როგორ წარმოსდგება ზმნა „do“-საგან სუპინი.

და არცა სჯერა, როცა ანუგეშებენ:

— რას იზამ, შვილო, ისწავლე! შემდეგში მოიმკი ნაყოფს! მოთმინება იქონიე!

თითქოს ადამიანს რვა წლის განმავლობაში კბილებსა ჰგლეჯდნენ და ეუბნებოდნენ:

— რას იზამ, მოთმინება იქონიევი!

დედა გამუდმებით ჩასჩურჩულებს და მოსვენებას არ აძლევს:

— რას იზამ, შვილო! საჭიროა ლათინურის ცოდნა იმიტომ, რომ შემდეგში სამსახური იშოვნო და კარგად იცხოვრო!

იგი გამუდმებით დაიარება სკოლაში სწორედ ისევე, როგორც მამამისი კანცელარიაში. იმას მხოლოდ ერთი რამ გარემოება მოსვენებას არ აძლევს.

„მამა რაღაც ბობოლაა, მარტო ოთხს საათს მუშაობს დღეში და კიდევაც ჰყვირის და სჯავრობს—ვიღლებიო. მე კი ერთი ბეწო ბავშვი სრული ხუთი საათი ვზივარ სკოლაში და ამასაც არ მაკმარიან და სახლშიც მატანენ სამუშაოს. რა იმ-ტრიალს ასტეხდა მამაჩემი, საღამოობითაც რომ მიეცათ სამუშაო!?

ბავშვი ინსტიქტიურად თხოლობს ჯამაგირს შრომისათვის.

— დედილო, მომეცი ეოთი აბაზი!

— ეჰე, ერთი ამას დამიხედევით! რათ გინდა მერე?

— მე ამ კვირია არც ერთი ცუდი ნიშანი არ მქმიღია!

ის გვარიანად ისჯება, მიეცით, მიეცით ჯამაგირი, გარდა იმ საჩუქრებისა, რომელიც სააღდგომოდ და საახალწლოდ უნდა მიეცეს.

შეუძლიან განა ეხლანდელს სასწავლებელს სხვა გვარი ინტერესი გაუღვიძოს ბავშვს „მეცნიერებისადმი?“

ამ საკითხზედ წერა, სხვა არა იყოს-რა, მოსაწყენია!

ერთხელ ჩემს სიცოცხლეში ისეთი სიცრუე წამოვროშე, რომლის გამოც აგერ 25 წელიწადი მუდამ ვწითლდები ხოლმე.

ეს მოხდა გიმნაზიაში. სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგმა ინახულა ჩვენი გიმნაზია, მე თავზედ ხელი გადამისვა, კეთილის თვალით შემომხედა და მკითხა:

რომელი ენა უფრო მოგწონს, ლათინური თუ ბერძნული?

ბერძნული!—მივუგე მე და ამით, რასაკვირველია, მინდოდა გამომეთქვა, რომ ღირსი ვარ მინისტრის ალერსისა და ყურადღებისა.

მას შემდეგ სრულმა 25 წელიწადმა განვლო და მე დღესაც კიდევ ვწითლდები ხოლმე ამ სიცრუის მოგონებაზედ. მთელს ჩემს სიცოცხლეში ასე არ მიცრუვნია.

ღმერთმა უწყის, რა სამწუხარო სამსახური გავუწიე ამითი სამშობლოს! მინისტრის ამხანაგები იმისთვის ინახულებენ ხოლმე ამა თუ იმ სასწავლებელს, რომ ადგილობრივ გაიცნონ მათი ავკარგი, ვინ იცის სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგის დაბრუნების შემდეგ კრება ჰქონდათ მინისტრებს ძველი ენების მოსპობის შესახებ. იქნება ყველას უნდოდა მათი გადაგდება, მაგრამ აქ წამოდგა მინისტრის ამხანაგი და განაცხადა:

„მე თვითონ ვნახე გიმნაზიელები, რომელთაც ძალიან უყვართ ძველი ენები და, რასაკვირველია, მათი შესწავლა ნამდვილ სიამოვნებას აგრძნობინებს მათ. დიახ, დიახ, ბატონებო! მე მახსოვს დოროშევიჩი, რომელსაც საშინლად უყვარს ბერძნული ენაო“.

მას შემდეგ 25 წელიწადმა განვლო... გულმხურვალედ გევედრებით, თუ სადმე საშუალო სკოლის რეფორმების მასა-

МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ ГРУЗИИ

ლებში შეგხვდეთ დოროშევიჩის ზემოხსენებული სიტყვები,— უმორჩილესად გთხოვთ ამოშალოთ, მე ვიცრუე.

ასეთი გიმნაზიელი არ არსებობს.

ლათინურისა და ბერძნულის ენების სიყვარული არ შეიძლება, ისევე როგორც არ შეიძლება სიყვარული იმ ისტორიისა, რომელსაც ჩვენ სასწავლებლებში ასწავლიან. კაცობრიობის ისტორია იწყება ბუნდოვანის ზღაპრებით. ილოვაისკის ისტორიაში, გარდა ციფირებისა, სხვა არა არის-რა, იწყება ციფირებით და თავდება ციფირებით.

იგი ანგარიშის წიგნს მოგაგონებთ, საადრესო კალენდართან ერთად დაკაზმულს. სახელები და ციფირები—მეტი არაფერი! იმისი შესწავლა ისევე საინტერესოა, როგორც ტელეფონის აბონემენტების გაზეპირება.

— 9 იულიოს კეისარი.

— 1113 ვლადიმირ მონომახი.

ყველა ის, რაც კი ისტორიაში საინტერესო, აღმაფრთოვანებელი და გონების განმავითარებელ-განმასპეტაკებელია, განგებ არის განდევნილი.

თქვენ ძალიანა გსურთ ხბოს ხორცის ჭამა, მაგრამ ხორცის მაგიერ ძვალს გაძლევენ და თანაც გეუბნებიან: ეს არის ნამდვილი ხბოს ხორციო! ამის შემდეგ მეორედ აღარ მოითხოვთ ხბოს ხორცს. შეიძულებთ და უნებლიედ გაიცინებთ, როდესაც გეტყვით ვინმე:

— მე ხბოს ხორცი მიყვარს.

— ჰა, ჰა, ჰა!—აი სულელი, რომელსაც ძვლების ღრღნა უყვარს!

ედილი.

(დასასრული იქნება)



მეშუშე. ნეტავი წელსაც ბევრს შუშებს ჩაამტვრევენ?! შარშან ძალიან კარგი ვაჭრობა მქონდა...



მამა. ჩემი შვილი ძალიან კოჭლობდა ზოგიერთ საგნებში, მგონია, ვერ დაიჭიროს ეგზამენი.

დირექტორი. მაშ, დავნაძლევდეთ ორას მანეთზე. მე დარწმუნებული ვარ, გადავა.

მამა. დავნაძლავდეთ.




დირექტორი. აკი გითხარ, გადავა მეთქი, სანაძლეო წააგეთ.

მამა. წავაგე, წავაგე და გადავიხდი კიდეც.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბადარი

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—ხა.